საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს სხდომის

ოქმი №197

29 აგვისტო 2011 თბილისი, საქართველო

2011 წლის 29 აგვისტოს, 13:00 სთ-ზე საზოგადოებრივი მაუწყებლის ოფისში (კოსტავას 68) გაიმართა სამეურვეო საბჭოს სხდომა. სხდომას ესწრებოდა საბჭოს 9 წევრი : ლ ევან გახელაძე, მამუკა ფაჩუაშვილი, ნოდარ სარჯველაძე, დავით კანდელაკი, გიგა ნასარიძე, ემზარ გოგუაძე, ბაკურ სულაკაური, გიორგი მელაძე და ავთანდილ ანთიძე. სხდომას არ ესწრებოდნენ: ზურაბ დავითაშვილი, შორენა შავერდაშვილი, ნინო დანელია, დავით აფრასიძე და ოთარ კობერიძე. მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 28 მუხლის I პუნქტის თანახმად, საბჭო უფლებამოსილი იყო, გაემართა სხდომა.

სხდომამ განიხილა შემდეგი საკითხები:

1. „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 2011 წლის ბიუჯეტის ცვლილების განხილვა-დამტკიცება.

2. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 2012 წლის ბიუჯეტის პროექტის პრეზენტაცია.

პირველი საკითხი

სხდომას სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე ლევან გახელაძე უძღვებოდა, მან საბჭოს წევრებს გააცნო გენერალური დირექტორის მიერ საბჭოს სახელზე გამოგზავნილი წერილის შინაარსი:

"წარმოგიდგენთ განსახილველად სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" 2012 წლის ბიუჯეტის პროექტს. აქვე გთხოვთ, შეიტანოთ ცვლილებები სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" 2011 წლის ბიუჯეტში, კერძოდ სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" არსებული ბიუჯეტი შემცირდეს 2 000 000 (ორი მილიონი) ლარით.

გარდა ამისა, განობებთ, რომ შპს "ქეი I"-მა მოგვმართა თხოვნით, საზოგადოებრივი მაუწყებლის მესამე არხის მართვასთან დაკავშირებით ჩვენს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედების ვადის 2012 წლის 16 იანვრამდე გაგრძელების შესახებ და ამასთან, დაწყებული პროექტების გასაგრძელებლად მოითხოვა არაუმეტეს 3 000 000 (სამი მილიონი) ლარის გამოყოფა.

გამომდინარე აქედან, იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მთავრობა თავისი სარეზერვო ფონდიდან სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელს" მიზნობრივად გამოუყოფს მესამე არხისვის (შპს "ქეი I"-სთვის) ზემოთ აღნიშნულ თანხას, გთხოვთ, მომცეთ უფლება, ეს თანხა გადავცეთ შპს "ქეი I"-ს და შესაბამისად, სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელსა" და შპს "ქეი I"-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდეს 2012 წლის 16 იანვრამდე."

საბჭოს წევრებს მაუწყებლის 2011 წლის კორექტირებული ბიუჯეტის პროექტი, გენერალურმა დირექტორმა გიორგი ჭანტურიამ წარმოუდგინა (რომელიც საბჭოს წევრებს გსაცნობად სხდომამდე ელ.მისამართზე გადაეგზავნათ) საკითხის განხილვა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაიმართა. 2011 წლის კორექტირებული ბიუჯეტის პროექტის განხილვის შემდგომ საბჭოს

წევრებმა განიხილეს 2012 წლის ბიუჯეტის პროექტი საკითხის განხილვის დასრულების შემდგომ საბჭოს დავმჯდომარემ ხენჭისყრაზე დააყენა შემდეგი წინადადება:

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 33-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" 2011 წლის კორექტირებული ბიუჯეტი თანდართული სახით.
2. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მთავრობა თავისი სარეზერვო ფონდიდან სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მესამე არხისთვის (შპს "ქეი 1"-სთვის) მიზნობრივად გამოყოფს 3 000 000 (სამი მილიონი) ლარს, მიეცეს თანხმობა სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალურ დირექტორს, შპს "ქეი 1"-ს და სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელს" შორის გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდეს 2012 წლის 16 იანვრამდე და აღნიშნული თანხა გადაეცეს შპს "ქეი 1"-ს ამ უკანასკნელის მიერ წარმოდგენილი გრაფიკის მიხედვით.
3. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" მენეჯმენტის მიერ წარმოდგენილი 2012 წლის ბიუჯეტის პროექტი, საფუძვლად იქნას მიღებული შემდგომში სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელის" 2012 წლის ბიუჯეტის დსამტკიცებლად.

ლევან გახელაძის მიერ კენჭის ყრაზე დაყენებულ წინადადებას სხდომაზე დამსწრე ყველა საბჭოს წევრმა დაუჭირა მხარი. (გადაწყვეტილება ოქმს თან ერთვის)

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა 15:30 საათზე, შემდეგი სხდომის დღის წესრიგი, დრო და თარიღი საბჭოს წევრეს დამატებით ეცნობათ.

საბჭოს თავმჯდომარე: ლევან გახელაძე

სხდომის მდივანი: ირინე ზაქარიაშვილი